ოქმი:**ო02. 3726203001**

თარიღი:**22/07/2026**

ოქმი №13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 21 ივლისი

ქ.ოზურგეთი

15:00-16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ნ. ჭანიშვილი, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ე. გორდელაძე, წ. სალუქვაძე, გ. გაბისიანი, ლ. ქვილორია.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის პრევენციის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი- ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ჩავლეშვილმა, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, აღნიშნა, რომ ეს ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება მუნიციპალიტეტში მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით. პროექტების ჯამური ღირებულება, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შემდეგ, გაიზარდა 250 ათასი ლარით. შემდეგ დაასახელა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით განსახორციელებელი ინფასტრუქტურული პროექტები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების

პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი